ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი

2023 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი წარმოადგენს ინგლისური ორიგინალის თარგმანს)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
მმართველობის ანგარიშგება	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს გრანთ თორნთონ
ს/ნ: 200136600
იურიდიული მისამართი:
საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ქეთევან წამებულის გამზირი, № 54
ტ:.+ 995 322 604 406

Grant Thornton LLC
I/N: 200136600
Legal address:
Georgia, Tbilisi, Isani district,
Ketevan Tsamebuli avenue, № 54
T.: + 995 322 604 406

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიამ განსაზღვრა გაუფასურების ანარიცხის თანხა სადაზღვევო მოთხოვნებთან დაკავშირებით. აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტიცებულებები იმის შესახებ, რომ აღნიშნული რეზერვის თანხის გაანგარიშება შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან. გამომდინარე აქედან, ჩვენ ვერ ვადასტურებთ შეიცავს, თუ არა სადაზღვევო მოთხოვნებზე დარიცხული გაუფასურების ანარიცხი არსებით უზუსტობას.

აუდიტს წავრმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი. ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მმართველობის ანგარიშგება

მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგება, რომელიც მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა მენეჯმენტის მიერ, მოიცავს ინფორმაციას კომპანიიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზს, სამომავლო გეგმებს და სხვა ინფორმაციას ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- „მმართველობის ანგარიშგებაში“ იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად;
- „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთას შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.
- ვერკვევით კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში კომპანიის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ კომპანიის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.
- განვიხილავთ ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებით შენიშვნებს და ვადგენთ, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებზე.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის ვახტანგ ცაბაძე.

შპს გრანთ თორნთონის სახელით

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი (რეგისტრაციის N - SARAS-A-774309)

20 მაისი 2024

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარში	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)	2022 წლის 1 იანვარი (შესწორებული)
აქტივები				
ფული და მისი ეკვივალენტები	7	935,020	1,053,456	823,384
საბანკო ანაბრები	7	7,770,487	7,810,288	8,139,452
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	8	2,730,042	1,515,661	931,592
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	8	1,356,399	1,762,582	1,613,666
ძირითადი საშუალებები	9	1,060,527	191,052	266,177
სხვა აქტივები	10	1,009,333	212,211	144,158
სულ აქტივები		**14,861,808**	**12,545,250**	**11,918,429**
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	11	5,327,766	4,436,380	4,680,100
გაუნაწილებელი მოგება		5,704,178	4,034,538	2,990,054
		11,031,944	**8,470,918**	**7,670,154**
ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	8	2,670,879	3,000,830	2,846,772
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	8	367,199	300,589	548,699
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	12	-	22,457	30,118
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	13	517,658	277,504	516,752
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	217,281	432,291	305,934
საგადასახადო ვალდებულებები		56,847	40,661	-
		3,829,864	**4,074,332**	**4,248,275**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**14,861,808**	**12,545,250**	**11,918,429**

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 20 მაისს:

არჩილ მორჩილაძე	ვასილ გომურაშვილი
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 10-38 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

ლარში	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი (შესწორებული)
სადაზღვევო შემოსავალი		16,403,440	17,711,056
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები		(10,391,066)	(13,025,655)
წმინდა ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან		(423,367)	(206,028)
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი	15	**5,589,007**	**4,479,373**
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან და გაცემული სესხებიდან		766,930	665,294
საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	16	(3,153,709)	(3,427,027)
გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი		(660,996)	(139,876)
საპროცენტო ხარჯი		(69,056)	(73,371)
წმინდა სხვა შემოსავალი		67,005	174,575
წმინდა ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან		(945)	(448,992)
მოგებადაბეგვრამდე		**2,538,236**	**1,229,976**
მოგების გადასახადის ხარჯი	12	(227,543)	(185,492)
პერიოდის მოგება		**2,310,693**	**1,044,484**
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**2,310,693**	**1,044,484**

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 10-38 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარში	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვარი (ადრე აღრიცხვის შესაბამისად)	4,680,100	3,159,403	7,839,503
კორექტირება ფასს 17-ის თავდაპირველ გამოყენებაზე (შენიშვნა 6)	-	(169,349)	(169,349)
	4,680,100	**2,990,054**	**7,670,154**
წმინდა მოგება	-	1,044,484	1,044,484
წლის სრული შემოსავალი (შესწორებული)	**-**	**1,044,484**	**1,044,484**
კაპიტალის შემცირება	(243,720)	-	(243,720)
ოპერაციები აქციონერებთან	**(243,720)**	**-**	**(243,720)**
2022 წლის 31 დეკემბერი (შესწორებული)	**4,436,380**	**4,034,538**	**8,470,918**
წმინდა მოგება	-	2,310,693	2,310,693
წლის სრული შემოსავალი	**-**	**2,310,693**	**2,310,693**
წმინდა კაპიტალის ზრდა	891,386	-	891,386
გაცემული დივიდენდები	-	(641,053)	(641,053)
ოპერაციები აქციონერებთან	**891,386**	**(641,053)**	**250,333**
2023 წლის 31 დეკემბერი	**5,327,766**	**5,704,178**	**11,031,944**

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 10-38 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული თანხები	14,224,253	16,308,640
სადაზღვევო ზარალების გადახდები	(11,032,196)	(12,612,740)
სხვა გადახდები	(3,000,775)	(3,226,212)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**191,282**	**469,688**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,340)	(12,609)
გაცემული სესხი	(651,500)	(137,000)
მიღებული პროცენტი	856,938	493,167
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**200,098**	**343,558**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
კაპიტალის შემცირება	(108,320)	(243,720)
სესხების მიღება / (დაფარვა), წმინდა	218,201	(282,620)
იჯარის მიღება/(დაფარვა), წმინდა	(17,500)	(30,000)
დივიდენდების გაცემა	(641,053)	-
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(548,672)**	**(556,340)**
ფულის წმინდა ზრდა წლის განმავლობაში	(157,292)	256,906
კურსთა შორის სხვაობის გავლენა	(945)	(355,998)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	8,863,744	8,962,836
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	**8,705,507**	**8,863,744**
შემადგენლობა:		
ფული და ფულის ექვივალენტები	935,020	1,053,456
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7,770,487	7,810,288
სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით	**8,705,507**	**8,863,744**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იყოს 10-38 გვერდებზე წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2017 წლის მაისში და ახორციელებს სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებას საქართველოში. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია მარიჯანის ქ. 4, თბილისი, 0162 საქართველო.
კომპანიის აქციონერები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
არჩილ მორჩილაძე	51%	51%
შპს „კლინიკა ნიუმედი“	49%	49%

2 ბიზნეს გარემო

2022 წლის თებერვლიდან რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც კონფლიქტის მონაწილე ქვეყნებზე, ასევე მსოფლიო ეკონომიკაზე. მსოფლიოს ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ფინანსურმა გაერთიანებამ დააწესა მკაცრი ეკონომიკური სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, მათ შორის სანქციები შეეხო რუსული ბანკებს, რუსული ეროვნული გადაზღვევის კომპანიებს, სხვა ორგანიზაციებსა და კერძო პირებს. ომი ჯერ კიდევ გრძელდება, მაგრამ მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში.

ვინაიდან საომარი მოქმედებები ჯერ არ შეწყვეტილა, შეუძლებელია მისი საბოლოო გავლენის საიმედოდ შეფასება როგორც საქართველოს ბიზნეს გარემოზე, ასევე კომპანიის საქმიანობაზე.

კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად აანალიზებს არსებულ ეკონომიკურ გარემოს. მომავალი ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება და მისი გავლენა კომპანიის ოპერაციებზე შეიძლება განსხვავდებოდეს მენეჯმენტის ამჟამინდელი მოლოდინებისგან.

3 შედგენის საფუძველი

3.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IASB) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (IFRIC) მიერ შემუშავებული და გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდატებისა (IFRS) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების შესაბამისად.

წინამდებარე ანგარიშგება არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც გამოყენებულლია ფასს 17 *სადაზღვევო კონტრაქტები* და ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები*. შესაბამისი ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში აღწერილია შენიშვნა 3.4-ში.

3.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს.

3.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე.

3.4 სააღრიცხვო პოლიტიკების ცვლილება

მოცემულ ფინანსური ანგარიშგებაში კომპანიამ პირველად გამოიყენა ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები და ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები. ხსენებულმა სტანდარტებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტებისა და ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის აქამდე არსებული მიდგომები.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, კომპანიამ შეასწორა შესადარისი პერიოდებიც და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აჩვენა მესამე ბალანსი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარებით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში, ფასს-17 ისა და ფასს-9-ის დანერგვით გამოწვეული ცვლილებები, შეჯამებულია ქვემოთ:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები

ფასს 17-მა ჩაანაცვალა ფასს 4 სადაზღვევო კონტრაქტები 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის. კომპანიამ შეასწორა 2022 წლის 1 იანვრის მდომარეობით ფინანსური ანგარიშგება ფასს 17 ის შესაბამისად და გაამჟღავნა ფასს-17 ის გამოყენების გავლენა ფინანსური ანგარიშგების თითოეულ პუნქტზე, რომელიც წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში.

კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილება

ფასს-17 ის დანერგვამ არ შეცვალა კომპანიის სადაზღვევო კონტრაქტების კლასიფიკაცია. თუმცა, ფასს 17 განსაზღვრავს სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტების აღიარებისა და შეფასების ძირითად პრინციპებს.

ფასს 17-ის შესაბამისად, კომპანიის სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტები შესაძლებელია შეფასდეს *პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით*. მოცემული მიდგომა ამარტივებს სადაზღვევო კონტრაქტების შეფასებას ზოგად მოდელთან შედარებით.

პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად სადაზღვევო კონტრაქტების შეფასების ძირითადი პრინციპები განსხვავდება ფასს 4 შესაბამისი *გამომუშავებული პრემიის მიდგომისგან*. მნიშვნელოვანი განსხვავებული პრინციპები შეჯამებულია ქვემოთ:

- დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება წარმოადგენს მიღებულ სადაზღვევო პრემიას მინუს დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები ამ თარიღისთვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო გადაწყვეტს ამ გადახდების აღიარებას ხარჯის სახით და მინუს თანხა რომელიც აღიარებულია სადაზღვევო პრემიის ამონაგების სახით პერიოდის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით;
- დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება მოიცავს ფულის დროში ღირებულებისა და ფინანსური რისკის კორექტირებებს მაშინ როდესაც სადაზღვევო კონტრაქტის მომსახურების პერიოდი 12 თვეზე მეტია;
- როდესაც კონტრაქტი ზარალიანია, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასება მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას, რაც ნათლად არის წარდგენილი;
- დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება (ადრე, გადასახდელი ზარალები და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი (IBNR) ზარალები) განისაზღვრება დისკონტირებული ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი ღირებულებით და მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას.

კომპანია ყველა სადაზღვევო პროდუქტისთვის აკაპიტალიზირებს აკვიზიციის ფულად ნაკადებს.

კომპანია ანაწილებს შესყიდვის ფულადი ნაკადებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფებზე, სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე. დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება სადაზღვევო ჯგუფს და მომავალ სადაზღვევო ჯგუფებს, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება ამ ჯგუფში კონტრაქტების განახლებიდან.

როდესაც სადაზღვევო კონტრაქტის აკვიზიციის ფულადი ნაკადის გადახდა ხდება მანამ სანამ შესაბამისი სადაზღვევო კონტრაქტები აღიარდება, წარმოიქმნება აკვიზიციის ფულადი ნაკადების აქტივი და ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადობა. სადაზღვევო კონტრაქტების აღიარებისას, დაზღვევის აკვიზიიციის ფულადი ნაკადების აქტივის შესაბამისი ნაწილი ჩამოიწერება და ჩაითვლება შესაბამისი დარჩენილი სადაზღვევო ვალდებულებების შეფასებაში.

სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტების კლასიფიკაცია და შეფასება ახსნილია შენიშვნა 4.1-ში.

პრეზენტაციისა და განმარტებითი შენიშვნების ცვლილება

ფინანსური მდგომარების ანგარიშგებისა და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების აღწერილობები მნიშვნელოვნად შეიცვალა გასულ წელთან შედარებით.

გადასვლა

გადასვლის თარიღში, 1 იანვარი 2022 წელი, კომპანიამ:

- სადაზღვევო ხელშეკრულებების თითოეული ჯგუფი განსაზღვრა, აღიარა და შეაფასა იმგვარად, თითქოს ის ყოველთვის იყენებდა ფასს 17-ს;
- დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული აქტივები განსაზღვრა, აღიარა და შეაფასა იმგვარად, თითქოს ყოველთვის იყენებდა ფასს 17-ს. თუმცა ანაზღაურების შესაძლებლობის შეფასება გადასვლის თარიღამდე არ მომხდარა. გადასვლის თარიღში, ანაზღაურების შეფასება მოხდა, თუმცა გაუფასურების დანაკარგი არ გამოვლენილა.
- შეწყვიტა ნებისმიერი არსებული ნაშთის აღიარება, რომელიც არ იარსებებდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ყოველთვის გამოიყენებდა ფასს 17-ს;
- გადასვლის შედეგად მიღებული ნეტო სხვაობა აღიარა საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში.

ფასს 9 ფინანსური ინსტუმენტები

ფასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 "ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" წლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ. თუმცა, კომპანია, ამ დრომდე ფასს 4-ში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, იყენებდა დროებით გათავისუფლებას ფასს 9-სგან, სანამ დანერგავდა ფასს 17-ს.

კომპანიამ დანერგა ფასს 9 რეტროსპექტულად და შეასწორა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული შესადარისი ინფორმაცია 2022 წლისთვის. ფასს 9-ის დანერგვის შედეგად მიღებული სხვაობები ასახულია გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დეტალურად ახსნილია შენიშვნა 6-ში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში წარმოდგენილია ქვემოთ:

კლასიფიკაციისა და შეფასების ცვლილება

კლასიფიკაციასაა და შეფასების კატერგორიის დასადგენად, ფასს 9 მოითხოვს ყველა ფინანსური აქტივი შეფასდეს აქტივების მართვის ბიზნეს მოდელისა და სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე.

ფასს 9-ის დანერგვის პარალელურად, აქამდე არსებული ფინანსური აქტივების შეფასების კატეგორიები შეიცვალა შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტები და წარმოებულები;
- სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით;
- კაპიტალის ინსტრუმეტები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით;
- სავალო ინსტრუმენტები ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვა უცვლელი რჩება, როგორც ეს იყო ბასს 39-ის მიხედვით

ცვლილება გაუფასურების გადათვლაში

ფასს 9-ის მიღებამ, ჩაანაცვლა აქამდე არსებული დამდგარი ზარალის მიდგომა, საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მიდგომით, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეცვალა გაუფასურების რეზერვის აღრიცხვის მიდგომა სავალო ინსტრუმენტებისთვის რომელიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ კაპიტალში ასახვით და ამორტიზირებული ღირებულებით.

ფასს 9-ის მიხედვით სავალდებულოა ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის (გარდა, ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით) შეფასდეს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა.

სასესხო ინსტრუმენტებისთვის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ოდენობას. თუმცა თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა აქტივების წარმოშობისას ან შეძენის შემდეგ, გაუფასურების რეზერვი უნდა შეფასდეს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

კომპანიის სავალო ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში ასახვით და ამორტიზირებული ღირებულებით, მიჩნეულია როგორც დაბალი რისკი მატარებელ ინსტრუმენტად. კომპანიის პოლიტიკაა მსგავსი აქტივები შეაფასოს 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

წარდგენის ცვლილება - ფასს 7

ფასს 9-სა და ბასს 39-ს შორის განსხვავებების ასახვისთვის, შეიცვალა ფასს 7 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა. კომპანიამ გამოიყენა ფასს 7-ის შესწორებული ახსნა-განმარტებითი შენიშვნა 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლისთვის. ცვლილებები მოიცავს გარდამავალ განმარტებებს, რომელიც ნაჩვენებია მე-6 შენიშვნაში.

სხვა სტანდარტები და სტანდარტში ცვლილებები რომელიც კომპანია მიიღე პირველად 2023 წელს, და არ აქვს მატერიალური ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- *შემოსულობები (ცვლილება ბასს 16)*
- *კონცეპტუალური ჩარჩო (ცვლილება* ფასს 3)
- *წამგებიანი კონტრაქტები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯები* (ცვლილება ბასს 37)

3.5 სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომელიც ჯერ არ დაუნერგავს კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასსს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ.

ხელმძღვანელობა არ ელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსური ანგარიშგებაზე არსებული სტანდარტებიდან და შესწორებებიდან, ისინი წარმოდგენილია ქვემოთ:

- *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად (ცვლილება ბასს 1-ში)*
- *სააღრიცხვო შეფასების განმარტება (ცვლილება ბასს 8-ში)*
- *საიჯარო ვალდებულებები გაყიდვა უკუიჯარის პირობით (ცვლილება ფასს 16-ში)*
- *გრძელვადიანი ვალდებულებები შეზღუდვებით/კოვენანტებით (ცვლილება ბასს 1-ში)*
- *განცალკევებული ტრანზაქციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი*

4 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში.

4.1 სადაზღვევო ხელშეკრულებები

4.1.1 კლასიფიკაცია

სადაზღვევო ხელშეკრულებები წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა საფუძველზეც "კომპანია" იღებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს სხვა მხარისგან ("დაზღვეული'), იმის შესახებ რომ ის აუნაზღაურებს მას ან სხვა მოსარგებლეს ზარალს განსაზღვრულ გაურკვეველ სამომავლო შემთხვევებში ("სადაზღვევო შემთხვევა"), რომელიც უარყოფითად მოქმედებს დაზღვეულზე ან სხვა მოსარგებლეზე, კლასიფიცირდებიან როგორც სადაზღვევო ხელშეკრულებები.

სადაზღვევო რისკი კლასიფიცირდება მნიშვნელოვნად მხოლოდ მაშინ, როდესაც სადაზღვევო შემთხვევამ „კომპანიისთვის" შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალის ანაზღაურების ვალდებულება. სადაზღვევო კონტრაქტები ასევე შეიძლება ატარებდეს ფინანსური რისკს. ფინანსური რისკი არის განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ინსტრუმენტის ფასის, საქონლის ფასის, უცხოური ვალუტის კურსის, ფასის ან განაკვეთების ინდექსში, საკრედიტო რეიტინგის ან საკრედიტო ინდექსის ან სხვა ცვლადის შესაძლო ცვლილების რისკი, რომელიც არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებით.

კომპანია არ ფლობს გამოშვებულ გადაზღვევის კონტრაქტებს.

კომპანია არ ფლობს პირდაპირი მონაწილეობის პირობების მქონე სადაზღვევო ხელშეკრულებებს.

როცა კონტრაქტები კლასიფიცირდება როგორც სადაზღვევო ხელშეკრულება, ის რჩება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი სიცოცხლის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ სადაზღვევო რისკი მნიშვნელოვნად შემცირდება ამ პერიოდის განმავლობაში, თუ ყველა უფლება და მოვალეობა არ ქრება ან არ ამოიწურება.

4.1.2 კომპონენტების გამიჯვნა სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტებიდან

კომპანია აფასებს არასიცოცხლის დაზღვევისა და გადაზღვევის პროდუქტებს, რათა დაადგინოს, განსხვავებული კომპონენტები, რომელიც შეიძლება აღირიცხოს სხვა ფასს-ით, ნაცვლად ფასს 17-ისა. ნებისმიერი განსხვავებული კომპონენტის გამოყოფის შემდეგ, კომპანია იყენებს ფასს-17-ს ყველა დანარჩენ სადაზღვევო ხელშეკრულებაზე. კომპანიის სადაზღვევო პროდუქტები არ შეიცავს რაიმე განსხვავებულ კომპონენტს, რომელიც საჭიროებს გამიჯვნას.

4.1.3 აგრეგირების დონე

კომპანიამ უნდა განსაზღვროს სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელი. პორტფელი შედგება ისეთი ხელშეკრულებებისგან, რომლებიც მსგავს რისკებს ექვემდებარება და ერთად იმართება. ივარაუდება, რომ ერთი პროდუქტის ხაზის ფარგლებში ხელშეკრულებებს მსგავსი რისკები ექნებათ და ამიტომ მოსალოდნელია, რომ ერთი და იგივე პორტფელს მიეკუთვნება, თუკი საწარმო მათ ერთად მართავს. პორტფელი შემდგომში იყოფა გამოშვების წლის და მომგებიანობის მიხედვით აღიარებისა და შეფასების მიზნით. გაერთიანების დონის არც ერთი ჯგუფი არ შეიძლება შეიცავდეს ერთ წელზე მეტი ინტერვალით გაცემულ კონტრაქტებს. კონტრაქტების ჯგუფის მომგებიანობა ფასდება აქტუარული შეფასების მოდელებით, რომლებიც ითვალისწინებენ არსებულ და ახალ ბიზნესს. შესაბამისად, გამოშვების ყოველი წლის განმავლობაში, კონტრაქტების პორტფელი იყოფა სამ ჯგუფად, შემდეგნაირად:

- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანია, ასეთის არსებობისას:
- ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წამგებიანი, ასეთის არსებობისას; და

- პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი, ასეთის არსებობისას.

კომპანიამ გამოყო შემდეგი პორტფელები სადაზღვევო კონტრაქტებიდან:

- ჯანმრთელობის დაზღვევა
- გარანტია
- სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა
- სიცოცხლის ვადიანი დაზღვევა (ინდივიდუალური)
- მოგზაურობის დაზღვევა
- უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა
- მძღოლისა და მგზავრის უბედური შემთხვევისაგან დაზღვევა (MPA)
- კასკო დაზღვევა
- მე-3 პირთა წინაშე პასუხისმგებლობა (ნებაყოფლობითი)(TPL)
- ტვირთების დაზღვევა
- ქონების დაზღვევა
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა
- სამოქალაქო/ზოგადი პასუხისმგებლობის დაზღვევა

კომპანიის დაშვებით, პორტფელში არცერთი კონტრაქტი არ არის წამგებიანი თავდაპირველი აღიარებისას, თუ ფაქტები და გარემოებები სხვაგვარად არ მიუთითებენ. იმ კონტრაქტებისთვის, რომლებიც არ არის წამგებიანი, კომპანია თავდაპირველი აღიარებისას, უშვებს რომ, არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წამგებიანი, რელევანტური ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების ალბათობის შეფასებით. კომპანია განიხილავს ფაქტებსა და გარემოებებს იმის დასადგენად, არის თუ არა კონტრაქტების ჯგუფი წამგებიანი, შემდეგი ინდიკატორების შეფასების გზით:

- ინფორმაციას ფასებზე;
- უკვე აღიარებული მსგავსი ტიპის კონტრაქტების შედეგები;
- გარემო ფაქტორები, მაგალითად ბაზრის გამოცდილების ან რეგულაციების ცვლილება.

კომპანია გადაზღვევის კონტრაქტებსაც ყოფს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპის გამოყენებით.

4.1.4 აღიარება

საწარმომ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თვითონ უშვებს, უნდა აღიაროს შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- ხელშეკრულებების ჯგუფის სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;
- თარიღი, როდესაც ხელშეკრულებების შესაბამის ჯგუფში უნდა განხორციელდეს რომელიმე პოლისის მფლობელისგან პირველი გადახდა; და
- წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, თარიღი, როდესაც მოცემული ჯგუფი ხდება წაგებიანი.

საწარმომ გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფს, რომელსაც ფლობა, აღიარებს შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

- გადაზღვევის კონტრაქტების პერიოდის დასაწყისში. თუმცა, კომპანია აჭიანურებს გადაზღვევის კონტრაქტების ჯგუფის აღიარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ პროპორციულ დაფარვას იმ თარიღამდე, სანამ სადაზღვევო ხელშეკრულება პირველად იქნება აღიარებული, თუ ეს თარიღი უფრო გვიანია, ვიდრე გადაზღვევის ხელშეკრულების დასაწყისი;
- თარიღი როდესაც კომპანია აღიარებს წამგებიან სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფს, თუ კომპანიამ გააფორმა შესაბამისი გადაზღვევის ხელშეკრულება, იმაცე თარიღში ან უფრო ადრე;

კომპანია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში იმ ახალ კონტრაქტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ კრიტერიუმს მაინც, პერიოდულად ამატებს სადაზღვევო და გადაზღვევის ჯგუფებში.

4.1.5 ხელშეკრულების ფარგლები

სადაზღვევო კონტრაქტების ჯფუფის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს ყველა მომავალ ფულად ნაკადს ჯგუფის თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში. ფულადი ნაკადები გათვალისწინებულია ხელშეკრულების ფარგლებში, თუ ისინი წარმოიქმნება არსებითი უფლებებიდან და ვალდებულებებიდან, რომლებიც არსებობს საანგარიშო პერიოდში, როდესაც კომპანიას შეუძლია აიძულოს დამზღვევი გადაიხადოს პრემიები, ან როდესაც კომპანიას აქვს არსებითი ვალდებულება უზრუნველყოს პოლისის მფლობელისთვის სადაზღვევო მომსახურების გაწევა. სადაზღვევო კონტრაქტის მომსახურების გაწევის არსებითი ვალდებულება სრულდება, როცა:

- კომპანიას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, ხელახლა შეაფასოს კონკრეტული დაზღვეულის რისკები და, შედეგად, შეუძლია დაადგინოს ფასი ან სარგებლის დონე, რომელიც სრულად ასახავს ამ რისკებს
- კომპანიას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, ხელახლა შეაფასოს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის რისკები, რომლებიც შეიცავს კონტრაქტს და, შედეგად, შეუძლია დაადგინოს ფასი ან სარგებლის დონე, რომელიც სრულად ასახავს ამ პორტფელის რისკს და პრემიების ფასს. რისკების ხელახალი შეფასების თარიღამდე არ ითვალისწინებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ხელახალი შეფასების თარიღის შემდგომ პერიოდებთან

სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ მოსალოდნელ პრემიებთან ან ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულება ან აქტივი არ არის აღიარებული. ასეთი თანხები ეხება მომავალ სადაზღვევო კონტრაქტებს.

4.1.6 შეფასება

სადაზღვევო კონტრაქტები – თავდაპირველი აღიარება

კომპანია მისი ყველა სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტისთვის იყენებს *პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ* მიდგომას, რადგან:

- ჯგუფში შემავალი თითოეული ხელშეკრულების სადაზღვევო პერიოდი, მათ შორის, სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებების, რომლებიც წარმოიშობა ყველა პრემიიდან, რომელიც განეკუთვნება ხელშეკრულების ფარგლებს, შეადგენს ერთ წელს ან უფრო ნაკლებს;
- ერთ წელზე ხანგრძლივ კონტრაქტებზე კომპანიამ შეაფასა სამომავლო შესაძლო სცენარების მოდელირება და გონივრულად მოელის, რომ სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფისთვის, დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება, პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით შეფასებისას, არსებითად არ განსხვავდება იმ გაზომვისგან, რომელიც წარმოიქმნება ზოგადი მოდელით შეფასების შემთხვევაში. მატერიალურობის შეფასებისას კომპანიამ ასევე გაითვალისწინა ისეთი ხარისხობრივი ფაქტორები, როგორიცაა რისკის ბუნება და მისი საქმიანობის სფეროები.

კომპანიის ყველა სახის სადაზღვევო (გარდა, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიებისა და სამშენებლო რისკების დაზღვევისა) და გადაზღვევის პროდუქტიბის დაფარვის პერიოდი არის ერთი წელი ან ნაკლები, შესაბამისად, შეფასდა პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული და სხვა ვალდებულებების შესრულების გარანტიებისა და სამშენებლო რისკების დაზღვევის დაფარვის პერიოდი არის ერთ წელზე მეტი, თუმცა არ არსებობს მატერიალური განსხვავება პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით და ზოგადი მოდელის დათვლილ დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებებს შორის, შესაბამისად მოცემული კონტრაქტებიც შეფასდა პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით.

იმ კონტრაქტებზე, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არ არის წამგებიანი, კომპანია დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად:

- თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის მიღებული პრემიები, ასეთის არსებობისას;

- მინუს დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები ამ თარიღისთვის, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო გადაწყვეტს ამ გადახდების აღიარებას ხარჯის სახით;
- პლუს ან მინუს ნებისმიერი თანხა, რომელიც წარმოიშობა ამ თარიღისთვის, დაზღვევის აკვიზიციის ფულად ნაკადებთან დაკავშირებული აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად;
- ნებისმიერი სხვა აქტივის ან ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შედეგად, რომელიც ადრე აღიარდა ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებთან მიმართებით;

რადგან ყველა სადაზღვევო პროდუქტის პრემიების დაფარვის პერიოდი არის ერთი წელი ან ნაკლები, კომპანია არ ითვალისწინებს ფულის დროში ღირებულების ეფექტს.

როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ, რომ კონტრაქტები წამგებიანია თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია აკეთებს დამატებით ანალიზს იმის დასადგენად, მოსალოდნელია თუ არა ხელშეკრულებიდან წმინდა გადინება. წამგებიანი კონტრაქტები ცალ-ცალკე ჯგუფდება სხვა კონტრაქტებისაგან და კომპანია აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში წმინდა გადინებისთვის, რის შედეგადაც ჯგუფისთვის ვალდებულების საბალანსო ღირებულება უტოლდება შესრულების ფულადი ნაკადებს. ზარალის კომპონენტს ადგენს კომპანია წამგებიანი კონტრაქტების ჯგუფის დარჩენილი დაფარვის ვალდებულებისთვის, რომელიც ასახავს აღიარებულ ზარალს.

ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტები – თავდაპირველი შეფასება

კომპანია ფლობილ გადაზღვევის კონტრაქტებს აფასებს იმავე პრინციპით, როგორც გაცემულ სადაზღვევო კონტრაქტებს.

როდესაც კომპანიის ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტები წამგებიანია თავდაპირველი შეფასებისას ან წამგებიანი კონტრაქტი ემატება ჯგუფს, კომპანია განსაზღვრავს აქტივის დანაკარგის კომპონენტს გადაზღვეული კონტრაქტების დარჩენილი დაფარვის ვალდებულებისთვის.

კომპანია ზარალის ანაზღაურების კომპონენტს განსზღვრავს სადაზღვევო კონტრაქტებზე აღიარებული ზარალისა და მიმდინარე სადაზღვევო კონტრაქტებზე ზარალის პროცენტის გამრავლებით. კომპანია იყენებს სისტემურ და რაციონალურ მეთოდს ჯგუფზე აღიარებული ზარალის დასადგენად სადაზღვევო კონტრაქტებზე, რომლებიც გადაზღვეული და სადაზღვევო კონტრაქტებზე რომელიც არ არის გადაზღვეული.

ზარალის ანაზღაურების კომპონენტი აკორექტირებს დარჩენილი მომსახურების პერიოდის აქტივს

სადაზღვევო კონტრაქტები – შემდგომი შეფასება

თითოეული მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული საბალანსო ღირებულება:

- *პლუს პერიოდის განმავლობაში მიღებული პრემია;*
- *მინუს დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო გადაწყვეტს ამ გადახდების ხარჯის სახით აღიარებას;*
- *პლუს ნებისმიერი თანხა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციასთან და საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია ხარჯის სახით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო გადაწყვეტს დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ხარჯის სახით აღიარებას;*
- *პლუს დაფინანსების კომპონენტის ნებისმიერი კორექტირების თანხა, რომელიც განხორციელდა;*
- *მინუს თანხა, რომელიც აღიარებულია სადაზღვევო ამონაგების სახით მოცემული პერიოდის განმავლობაში გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით;*
- *მინუს ნებისმიერი საინვესტიციო კომპონენტი, რომელიც გადახდილია ან გადატანილია დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულების შემადგენლობაში.*

კომპანია აფასებს დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებას, გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს. გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულადი ნაკადები აერთიანებს, მიუკერძოებლად, ყველა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯების ან ძალისხმევის გარეშე, ამ მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობის, დროისა და გაურკვევლობის შესახებ, ისინი ასახავს მიმდინარე შეფასებებს კომპანიის პერსპექტივიდან და მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას (რისკის კორექტირება). კომპანია არ ახდენს სამომავლო ფულადი ნაკადების კორექტირებას ფულის დროული ღირებულებისა და ფინანსური რისკის ეფექტით, რადგად მოსალოდნელია რომ ზარალები გადაიხდება წარმოშობიდან ერთი წლის განმავლობაში.

როდესაც დაფარვის პერიოდის განმავლობაში, ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ, რომ სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფი წამგებიანია, კომპანია აღიარებს ზარალს მოგებაში ან ზარალში, რის შედეგადაც ჯგუფისთვის ვალდებულების საბალანსო ღირებულება უტოლდება გასაწევი მომსახურებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტები – შემდეგომი შეფასება

ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტრაქტებს კომპანია აფასებს იმ პრინციპით, როგორც გაცემულ სადაზღვევო კონტრაქტებს.

4.1.7 დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადები

ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოიშობა სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის (რომლებიც უკვე გამოცემულია ან რომლის გამოცემა მოსალოდნელია) გაყიდვასთან, ანდერრაიტინგთან და ფორმირებასთან დაკავშირებული დანახარჯებიდან, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია იმ სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელთან, რომელსაც განეკუთვნება მოცემული ჯგუფი.

- სადაზღვევო აკვიზიციის ფულადი ნაკადები რომელიც დაკავშირებულია სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფთან;

- სადაზღვევო აკვიზიციის ფულადი ნაკადები რომელიც დაკავშირებულია სადზღვევო კონტრაქტების პორტფელთან, რომლებიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პორტფელში შემავალ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებთან ან სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებთან

სადაზღვევო აკვიზიციის ფულადი ნაკადები რომელიც გადახდილია ან წამოიშვა სადაზღვევო კონტრაქტების შესაბამისი ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებამდე, დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებიდან წარმოშობილი აქტივი აღიარედება თითოეული ჯგუფისთვის.

დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების აქტივი ამოიცნობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, როდესაც სადაზღვევო შეძენის ფულადი ნაკადები შედის სადაზღვევო კონტრაქტების შესაბამისი ჯგუფის საწყის შეფასებაში.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სადაზღვევო შესყიდვის ფულადი ნაკადების ოდენობებს, რომლებიც განაწილებულია იმ სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფებზე, რომლებიც ჯერ არ არის აღიარებული, რათა შეიტანოს ცვლილებები განაწილების მეთოდში.

კომპანია აფასებს ამოღებადობას, თუ ფაქტები და გარემოებები მიუთითებს, აქტივის შეიძლება გაუფასურდეს. ამოღებადობის შეფასებისას კომპანია იყინებს შემდეგ მიდგომებს:

- გაუფასირების ტესტს სადაზღვევო კონტრაქტების არსებულ ან მომვალ ჯგუფებზე;

- დამატებით გაუფასურების ტესტს, რომელიც ფარავს სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტების მოსალოდნელ განახლებასთან.

გაუფასურების რეზერვით კორექტირდება აქტივის საბალანსო ღირებულება და გაუფასურების ხარჯი ხვდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანია აღიარებს გაუფასურების ხარჯის რევერსალს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და ზრდის აქტივის საბალანსო ღირებულებას, როდესაც აქამდე არსებული გაუფასურების ინდიკატორები აღარ არსებობს ან გაუმჯობესებულია.

4.1.8 მოდიფიკაცია და აღიარების შეწყვეტა

კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულების აღიარებას წყვეტს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ხელშეკრულება შეწყდება ე.ი. როდესაც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას ვადა გაუვა, დაიფარება ან გაუქმდება;

- კონტრაქტი შეცვლილია ისე, რომ მოდიფიკაცია იწვევს შეფასების მოდელის ან ხელშეკრულების კომპონენტის არსებული სტანდარტის ცვლილებას, არსებითად ცვლის ხელშეკრულების საზღვრებს ან მოითხოვს შეცვლილი კონტრაქტის სხვა ჯგუფში ჩართვას. ასეთ შემთხვევებში კომპანია წყვეტს თავდაპირველ კონტრაქტს და აღიარებს მოდიფიცირებულს ახალ კონტრაქტად.

როდესაც მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, კომპანია აღიარებს მოდიფიკაციის შედეგად გადახდილ ან მიღებულ თანხებს სადაზღვევო კონტრაქტების დარჩენილი პერიოდის ვალდებულების კორექტირების სახით.

4.1.9 წარდგენა

კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ცალ-ცალკე წარადგენს: კომპანიის მიერ გამოშვებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს; კომპანიის მიერ გამოშვებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს ვალდებულებებს; ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომლებიც წარმოადგენს აქტივებს; და ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებს, რომელიც წარმოადგენს ვალდებულებებს.

სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულადი ნაკადების აქტივი, რომელიც აღიარდა შესაბამისი სადაზღვევო კონტრაქტების აღიარებამდე, ნაწილდება სადაზღვევო პროდუქტების იმ ჯგუფზე რომელსაც ის ეკუთვნის.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარდგენილ გაწეული სადაზღვევო მომსახურების შედეგს, ყოფს (დეზგრეგირებულად წარადგენს) სადაზღვევო ამონაგებად და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებად; და სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალად და ხარჯებად.

კომპანია არ ანაწილებს არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხებს ზემოაღნიშნულის ანალოგიურად: თუ საწარმო არ წარმოადგენს ამგვარ დეზაგრეგირებულ ინფორმაციას, მან არაფინანსური რისკის საფუძველზე განხორციელებული კორექტირების თანხის მთლიანი ცვლილება უნდა ასახოს, როგორც სადაზღვევო მომსახურების შედეგის ნაწილი.

საწარმომ ფლობილ გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ შემოსავალსა და ხარჯებს წარადგენს გამოშვებულ სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯებისა და შემოსავლისგან განცალკევებით.

4.1.10 სადაზღვევო ამონაგები

სადაზღვევო ამონაგები არის პერიოდის განმავლობაში მისაღები პრემიის ოდენობა. კომპანიამ მოსალოდნელ სადაზღვევო პრემიას ანაწილებს სადაზღვევო კონტრაქტის პერიოდზე დროის გასვლის პროპორციულად. თუ მოსალოდნელია რომ რისკის წარმოშობის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება დროის გასვლის პროპოციისგან, მაშინ გადანაწილება ხდება მოსალოდნელი სადაზღვევო ზარალის პროპორციით.

იმ შემთხვევაში თუ იცვლება ფაქტები და გარემოებები, კომპანია ცვლის ზემოთ მოცემულ ორ მეთოდს შორის განაწილების საფუძველს ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში

კომპანიამ ყველა სადაზღვევო ამონაგები შეაფასა დროის გასვლის პროპორციით

4.1.11 სადაზღვევო მომსახურების ხარჯი

კომპანიამ მოგებაში ან ზარალში წარადგინა გამოშვებული სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფთან დაკავშირებით წარმოშობილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯები, რომელიც მოიცავს

- დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებს და სხვა სადაზღვევო მომსახურების ხარჯებს;
- სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას, კომპანია აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაციას ახორციელებს წრფივი მეთოდით კონტრაქტის მომსახურების პერიოდის განმავლობაში;
- რისკის კორექტირება
- შემოსავალი რეგრესული მოთხოვნებიდან

4.1.12 გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა შემოსავალი/(ხარჯები)

გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა შემოსავალი/(ხარჯები) შედგება გადახდილი გადაზღვევის პრემიას მინუს ამონაგები გადამზღვევლისგან.

4.2 ფინანსური ინსტრუმენტები

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულის ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებებს აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს. აღნიშნული სტანდარტი ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება შეფასება“-ს.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

ფასს 9 მოიცავს სამ ძირითად კლასიფიკაციის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: შეფასება ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგება ან ზარალში ასახვით შეფასებული. ფასს9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფასს 9 აუქმებს ბასს 39-ის დაფარვის ვადამდე ფლოილის, სესხებისა და მოთხოვნებისა და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს. ფასს 9-ის მიხედვით, იმ ხელშეკრულებებში შეტანილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც ძირიტად ელემენტს ფინანსური აქტივი წარმოადგენს, სტანდარტის მოქმედების სფეროში არსდროს არ განცალკევდება. ამისა ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტუმენტები მის მთლიანობაში.

ფასს 9 უმეტესწილად ინარჩუნებს ბასს 39-ის, ფინანსური ვალდებულებების შეფასებისა და კლასიფიკაციის მოთხოვნებს.

ფასს 9-ს არ ჰქონდა მნიშვნელოვანიგავლენა კომპანიის ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკაზე.

ფინანსური აქტივებისა გაუფასურება

ფასს 9 ანაცვლეს ბასს 39-ის “გაწეული ზარალის” მოდელს “მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის” მოდელით. ახალი გაუფასურების მოდელი ვრცელდება ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, სამართლიანი ღირებულებთ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სახელშეკრულებო აქტივებზე.

ფასს 9-ის გაუფასირების მოდელის ფარგლებში აქტივებისთვის მოსალოდნელია, რომ გაუფასურების ზარალები გაიზრდება და გახდება უფრო არასტაბილური. კომპანიამ დაადგინა, რომ ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნების გამოყენებამ 2022 წლის 1 იანვრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობებით არ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაზე და მოგება ან ზარალის ანგარიშგებაზე.

4.3 ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

4.4 უცხოური ვალუტა

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.

ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 2.9753 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი და ერთი ევრო 2.8844 ლარი).

არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის აღრიცხვა 2024 წლის 1 იანვრამდე

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზის გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არ იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მიდგომების თვალსაზრისით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის კომპანია (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

პერიოდის განმავლობაში მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი წარმოიშვა ტრანზაქციიდან ან გარემოებებიდან, რომლებიც აღირიცხა სხვა სრული შემოსავლის ან პირდაპირ კაპიტალის მუხლში. მოგების გადასახადის განაკვეთი შეადგენს 15%-ს

მოგების გადასახადის აღრიცხვა 2024 წლის 1 იანვრიდან

2024 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის გადახდის წესებში, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ვრცელდება სადაზღვევო კომპანიებზე. ახალ საგადასახადო მოდელთან დაკავშირებული ცვლილებები სხვა ტიპის სუბიექტებისთვის (გარდა ფინანსურ სექტორში მოღვაწე კომპანიებისა) 2017 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს.

ახალი მოდელი გულისხმობს კორპორატიული გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2024 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო კომპანიები (როგორც სხვა სექტორში მოღვაწე კომპანია) გადაიხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.). მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძვლებზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2024 წლის 1 იანვრიდან.

4.6 ფული საბანკო ანგარიშებზე და საბანკო ანაბრები

ფული საბანკო ანგარიშებზე მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე.

საბანკო ანაბრები მოიცავს თანხებს განთავსებულს საბანკო ანგარიშებზე, საიდანააც კომპანია იღებს დამატებით სარგებელს.

4.7 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ცვეთა არ ერიცხება და ხდება მათი ყოველწლიური ტესტირება გაუფასურებაზე. აქტივები, რომლებიც ცვეთას ექვემდებარებიან, გაუფასურებაზე ტესტს გადიან მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

4.8 იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

- კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.
- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივისგამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

4.9 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
შენობა	5% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
ავეჯი და სხვა ოფისის აღჭურვილობა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით
სხვა	20% შემცირებადი ნაშთის მეთოდით

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

4.10 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

სხვადასხვა კლასის აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დაგროვილი მოგება

დაგროვილი მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ მოგებას.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.
აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია აქციონერებთან აღრიცხულია კაპიტალში დამოუკიდებლად.

5 მნიშვნელოვანი მსჯელობები და საღრიცხვო შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ.

5.1 მსჯელობები

სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტეის აგრეგირების დონე

კომპანია განსაზღვრავს სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელს და გამოყოფს თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანი კონტრაქტების ჯგუფს და კონტრაქტებს რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვთ მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდებიან წამგებიანი. წამგებიანი კონტრაქტების დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება განისაზღვრება მოსალოდნელი ფულადი ნაკადებით. ზარალის ანაზღაურების ნებისმიერი კომპონენტი განისაზღვრება სადაზღვევო კონტრაქტებზე აღიარებულ ზარალის კომპონენტთან და ასეთ ზარალზე მოსალოდნელი ანაზღაურების მითითებით გადაზღვევის კონტრაქტებიდან.

სადაზღვევო და გადაზღვევის კონტრაქტების შეფასება

კომპანია სადაზღვევო კონტრაქტების შეფასებისას იყენებს პრემიების განაწილებაზე დაფუძნებულ მიდგომას. დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასება პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომით მნიშვნელოვნად არ განსხვავდება აქამდე არსებული ფასს 4-ის მიდგომისგან. დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულის შეფასებისას კომპანია ადისკონტირებს მომავალ ფულად ნაკადებს ფულის დროში ღირებულების გათვალისწინებით, იმ ზარალებზე რომელზეც მოსალოდნელია რომ დაფარვა მოხდება ერთ წელზე მეტი პერიოდის შემდეგ და ითვალისწინებს არაფინანსური რისკი კორექტირების ეფექტს.

სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულადი ნაკადები

კომპანია სადაზღვევო კონტრაქტების აკვიზიციის ფულადი ნაკადების გადანაწილებას სადაზღვევო კონტრაქტებზე ახდენს სისტემური და რაციონალური მეთოდების გამოყენებით. მოცემული გულისხმობს კომპანიის შეფასებებს სადაზღვევო კონტრაქტებზე გამოყოფილი თანხების შესახებ, რომლებიც მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება ჯგუფში არსებული სადაზღვევო კონტრაქტების განახლებიდან და ამ პერიოდში გაცემული ახალი კონტრაქტებიდან.

5.2 განუსაზღვრელობის დაშვებები და შეფასებები

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება

აკვიზიციის ფულადი ნაკადები და აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია გათვალისწინებულია დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების გაანგარიშებაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია განიხილავს არსებულ დაშვებებს და საჭიროების შემთხვევაში, აკორექტირებს აკვიზიციის ფულადი ნაკადების აქტივს, შესაბამისად.

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულებები ფასდება ზარალის კოეფიციენტის მეთოდით. მოცემული მეთოდით შეფასებისას კომპანია იყენებს წარსული ზარალიანობის განვითარების გამოცდილებას, მომავალი ზარალის მაჩვენებლის განსაზღვრისთვის. ეს მეთოდები ექსტრაპოლაციას უწევს გადახდილი და დამდგარი ზარალების განვითარებას, საშუალო დანახარჯებს თითო ზარალზე (ზარალების განხილვის ხარჯების ჩათვლით) და ზარალების რაოდენობას და მოსალოდნელი ზარალის კოეფიციენტს.

დისკონტის განაკვეთი

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევების ვალდებულების და დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულების შეფასება არ მოიცავს კორექტირებას ფულის დროითი ღირებულების ასახვით, რადგან პრემიის დაფარვის თარიღი და მომსახურების შესაბამისი პერიოდი 12 თვეზე ნაკლებით არის დაშორებული ერთმანეთისგან

არაფინანსური რისკის კორექტირება

არაფინანსური რისკის კორექტირების საფუძველზე განსაზღვრულია იმ ანაზღაურების მოცულობა, რომელიც დასჭირდებოდა ინდივიდუალურ ემიტენტ საწარმოს არაფინანსური რისკის გაწევისთვის. კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე ასახავს საწარმოს მიერ გაცემული ხელშეკრულებების დივერსიფიკაციიდან მიღებულ სარგებელს, იმგვარად, რომ აღნიშნული შეესაბამება იმ ანაზღაურებას, რომელსაც ის მოითხოვდა და ასახავს რისკის იმ დონეს, რომელიც საწარმომ არ აიღო თავის თავზე.

6 გადაანგარიშება

შემდეგი ცხრილი აჯამებს ფასს 17-ის გავლენას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

ლარში	**აღრე აღრიცხვის შესაბამისად**	**ფასს 17-ის მიღების გავლენა**	**გადაანგარიშებული**
გადაზღვევის აქტივები	1,331,744	(1,331,744)	-
გადაზღვევის მოთხოვნები	2,025,599	(2,025,599)	-
სადაზღვევო მოთხოვნები	5,029,334	(5,029,334)	-
სხვა აქტივები	382,046	(169,835)	212,211
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	-	1,515,661	1,515,661
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	-	1,762,582	1,762,582
	8,768,723	**(5,278,269)**	3,490,454
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	6,428,706	(3,427,876)	3,000,830
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	1,752,945	(1,752,945)	-
გადაზღვევოს კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	-	300,589	300,589
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	228,202	(228,202)	-
	8,409,853	**(5,108,434)**	**3,301,419**
გაუნაწილებელი მოგება	4,204,373	(169,835)	4,034,538
	4,204,373	**(169,835)**	4,034,538

შემდეგი ცხრილი აჯამებს ფასს 17-ის გავლენას კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე 2022 წლის 1 იანვრისთვის:

ლარში	**აღრე აღრიცხვის შესაბამისად**	**ფასს 17-ის მიღების გავლენა**	**გადაანგარიშებული**
გადაზღვევის აქტივები	1,553,827	(1,553,827)	-
გადაზღვევის მოთხოვნები	1,860,623	(1,860,623)	-
სადაზღვევო მოთხოვნები	4,788,021	(4,788,021)	-
სხვა აქტივები	313,507	(169,349)	144,158
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	-	931,592	931,592
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	-	1,613,666	1,613,666
	8,515,978	**(5,826,562)**	**2,689,416**
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	6,570,287	(3,723,515)	2,846,772
გადასახდელი გადაზღვევის პრემია	2,192,722	(2,192,722)	-
გადაზღვევოს კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	-	548,699	548,699
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	289,675	(289,675)	-
	9,052,684	**(5,657,213)**	**3,395,471**
გაუნაწილებელი მოგება	3,159,403	(169,349)	2,990,054
	3,159,403	**(169,349)**	**2,990,054**

შემდეგი ცხრილი აჯამებს ფასს 17-ის გავლენას კომპანიის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე 2022 წლის ბოლოსთვის:

ლარში	აღრე აღრიცხვის შესაბამისად	ფასს 17-ის მიღების გავლენა	გადაანგარიშებული
მოზიდული პრემია	17,368,300	(17,368,300)	-
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	(1,715,933)	1,715,933	-
ცვლილება გამოუმუშავებული პრემიის რეზერვში	342,756	(342,756)	-
გამოუმუშავებული პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადამზღვევლის წილი	(219,184)	219,184	-
საკომისიო შემოსავალი	576,253	(576,253)	-
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	(13,175,685)	13,175,685	-
გადამზღვევლის წილი ანაზღაურებულ ზარალებში	1,202,852	(1,202,852)	-
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	(201,174)	201,174	-
გადამზღვევლის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	(2,899)	2,899	-
ზარალის დარეგულირების ხარჯები	(76,097)	76,097	-
შემოსავალი რეგრესიდან	380,671	(380,671)	-
სადაზღვევო შემოსავალი	-	17,711,056	17,711,056
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	-	(13,025,655)	(13,025,655)
წმინდა ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	-	(206,028)	(206,028)
	4,479,860	**(487)**	**4,479,373**

7 ფული და ფულის ეკვივალენტი და საბანკო ანაბრები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	932,515	1,048,958
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	2,505	4,498
	935,020	**1,053,456**

საბანკო ანაბრები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი დეპოზიტები სს „ფინკა ბანკი საქართველოში“	3,200,100	3,200,100
მოკლევადიანი დეპოზიტი სს „ხალიკ ბანკში“	134,470	-
გრძელვადიანი დეპოზიტი სს „თიბისი ბანკში“	2,855,269	2,865,637
გრძელვადიანი დეპოზიტი სს „საქართველოს ბანკში“	1,037,880	1,040,400
გრძელვადიანი დეპოზიტი სს „ხალიკ ბანკში“	450,000	450,000
დარიცხული პროცენტი	92,768	254,151
	7,770,487	**7,810,288**

8 სადაზღვევო და გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი აქტივები და ვალდებულებები

8.1 მოძრაობა სადაზღვევო ხელშეკრულებებში

მოძრაობა სადაზღვევო ხელშეკრულებებში 2023 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2023			
		დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება		
ლარში	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	სულ
აქტივი/(ვალდებულება) სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**1,515,661**	**(2,452,858)**	**(547,972)**	**(1,485,169)**
სადაზღვევო შემოსავალი	16,403,440	-	-	16,403,440
მიღებული პრემია	(14,224,253)	-	-	(14,224,253)
დამდგარი ზარალი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	-	(10,362,813)	-	(10,362,813)
ზარალი და სხვა გადახდილი ხარჯები	-	11,032,196	-	11,032,196
რისკის კორექტირება	-	-	(28,253)	(28,253)
ვალუტა და სხვა ცვლილებები	(964,806)	(311,179)	-	(1,275,985)
აქტივი/(ვალდებულება) სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**2,730,042**	**(2,094,654)**	**(576,225)**	**59,163**

მოძრაობა სადაზღვევო ხელშეკრულებებში 2022 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022			
		დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება		
ლარში	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება	მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების შეფასება	რისკის კორექტირება	სულ
აქტივი/(ვალდებულება) სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**931,592**	**(2,301,065)**	**(545,707)**	**(1,915,180)**
სადაზღვევო შემოსავალი	17,711,056	-	-	17,711,056
მიღებული პრემია	(16,308,640)	-	-	(16,308,640)
დამდგარი ზარალი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები	-	(13,023,390)	-	(13,023,390)
ზარალი და სხვა გადახდილი ხარჯები	-	12,612,740	-	12,612,740
რისკის კორექტირება		-	(2,265)	(2,265)
ვალუტა და სხვა ცვლილებები	(818,347)	258,857	-	(559,490)
აქტივი/(ვალდებულება) სადაზღვევო კონტრაქტებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,515,661**	**(2,452,858)**	**(547,972)**	**(1,485,169)**

8.2 მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულებებში

მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულებებში 2023 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი			
		დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი აქტივი		
ლარში	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივი	მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შეფასებები	რისკის კორექტირება	სულ
აქტივი/(ვალდებულება) გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(300,589)**	**1,676,785**	**85,797**	**1,461,993**
გადაზღვეული პრემია	(1,502,505)	-	-	(1,502,505)
გადაზღვევის საკომისიოდან მიღებული ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	449,559	-	-	449,559
გადაზღვევის წილი დამდგარ ზარალში	-	648,788	-	648,788
რისკის კორექტირება	-	-	(19,209)	(19,209)
ვალუტა და სხვა ცვლილებები	986,336	(1,035,762)	-	(49,426)
აქტივი/(ვალდებულება) გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(367,199)**	**1,289,811**	**66,588**	**989,200**

მოძრაობა გადაზღვევის ხელშეკრულებებში 2022 წლის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022 წლის 31 დეკემბერი			
		დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი აქტივი		
ლარში	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის აქტივი	მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების შეფასებები	რისკის კორექტირება	სულ
აქტივი/(ვალდებულება) გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**(548,699)**	**1,480,752**	**132,914**	**1,064,967**
გადაზღვეული პრემია	(1,935,117)	-	-	(1,935,117)
გადაზღვევის საკომისიოდან მიღებული ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	576,253	-	-	576,253
გადაზღვევის წილი დამდგარ ზარალში	-	1,199,953	-	1,199,953
რისკის კორექტირება	-	-	(47,117)	(47,117)
ვალუტა და სხვა ცვლილებები	1,606,974	(1,003,920)	-	603,054
აქტივი/(ვალდებულება) გადაზღვევის კონტრაქტებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(300,589)**	**1,676,785**	**85,797**	**1,461,993**

9 ძირითადი საშუალებები

ლარში

	აქტივი გამოყენების უფლებით	შენობა ნაგებობა	იჯარით აღებულის მოწყობა	კომპ. ტექნიკა	ავეჯი და საოფისე აღჭ.	სატრანსპ. საშუალება	სხვა	სულ
თვითღირებულება 1 იანვარი 2022 წელი	146,457	-	73,681	180,837	92,878	46,563	28,993	569,409
შემოსვლა	-	-	4,678	11,123	8,504	-	-	24,305
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**146,457**	**-**	**78,359**	**191,960**	**101,382**	**46,563**	**28,993**	**593,714**
თვითღირებულება 1 იანვარი 2023								
შემოსვლა	-	999,706	100	5,339	3,257	-	-	1,008,402
შიდა მოძრაობა	-	105,365	(78,459)	(19,928)	22,015	-	(28,993)	-
გასვლა	(146,457)	-	-	-	-	-	-	(146,457)
31 დეკემბერი 2023	**-**	**1,105,071**	**-**	**177,371**	**126,654**	**46,563**	**-**	**1,455,659**
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2021	94,150	-	36,008	87,005	58,687	20,902	6,480	303,232
ცვეთის ხარჯი	20,922	-	11,406	33,245	22,873	9,313	1,671	99,430
ცვეთის გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**115,072**	**-**	**47,414**	**120,250**	**81,560**	**30,215**	**8,151**	**402,662**
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	115,072	-	47,414	120,250	81,560	30,215	8,151	402,662
ცვეთის ხარჯი	10,461	31,731	5,393	34,610	23,716	11,766	326	118,003
შიდა მოძრაობა	-	59,618	(52,807)	-	1,666	-	(8,477)	-
ცვეთის გასვლა	(125,533)	-	-	-	-	-	-	(125,533)
31 დეკემბერი 2023	**-**	**91,349**	**-**	**154,860**	**106,942**	**41,981**	**-**	**395,132**
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	**52,307**	**-**	**37,673**	**93,832**	**34,191**	**25,661**	**22,513**	**266,177**
31 დეკემბერი 2022	**31,385**	**-**	**30,945**	**71,710**	**19,822**	**16,348**	**20,842**	**191,052**
31 დეკემბერი 2023	**-**	**1,013,722**	**-**	**22,511**	**19,712**	**4,582**	**-**	**1,060,527**

10 სხვა აქტივები

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გაცემული მოკლევადიანი სესხი დაკავშირებულ მხარეზე*	863,331	130,150
გადახდილი ავანსები	71,419	9,269
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9,366	7,501
არამატერიალური აქტივები ამორტიზაციის გამოკლებით	3,535	3,611
სხვა	61,682	61,680
	1,009,333	**212,211**

*2022 წლის 29 სექტემბერს, სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფსა და შპს „აიჯიჯი ასისტანს“ (დაკავშირებული მხარე) შორის გაფორმდა სესხის (საკრედიტო ხაზი) ხელშეკრულება, რომლის მოქმედების პერიოდიც განისაზღვრა ერთი წლის ვადით. ხელშეკრულების მიხედვით, გასაცემი თანხის მოცულობა განსაზღვრულია არაუმეტეს 900,000 ლარისა და სესხის გაცემა ხდება მსესხებლის მოთხოვნის შესაბამისად. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13.7% და გადახდის პირობა - თავისუფალი. სესხის მოქმედების პერიოდი, 2023 წლის 29 სექტემბრიდან ავტომატურად გახანგრძლივდა კიდევ ერთი წლის ვადით.

11 სააქციო კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება შემდეგი ოდენობის ჩვეულებრივი აქციებისგან, 1 აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ავტორიზებული სააქციო კაპიტალი	7,200,100	7,200,100
გადაუხდელი	(1,872,334)	(2,763,720)
გადახდილი სააქციო კაპიტალი	**5,327,766**	**4,436,380**

2023 წლის 13 ივნისს, სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის კაპიტალში მოხდა შპს კლინიკა ნიუმედი-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეტანა, მდებარე ქალაქ თბილისში, გურამ ფანჯიკიძის ქუჩა #22, საკადასტრო კოდით: 01.10.14.007.052.01.07.001. უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულება 13 ივნისის მდგომარეობით, შეფასდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 384,000 დოლარით (999,706 ლარი შესაბამისად).

2023 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი ფულადი განატანების მეშვეობით შემცირდა 108 ათასი ლარით.

12 მოგების გადასახადის ანაზღაურება /(ხარჯი)

მიმდინარე მოგების გადასახდი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარში

	2023 წელი	2022 წელი
მიმდინარე მოგების გადასახადი	250,000	193,153
გადავადებული მოგების გადასახადი	(22,457)	(7,661)
	227,543	**185,492**

მოგების გადასახადის რეკონსილაცია

ლარში

	2023 წელი	2022 წელი
მოგება დაბეგვრამდე	2,538,236	1,229,976
თეორიული მოგების გადასახადი (15%)	380,735	184,496
დროებითი სხვაობების ეფექტი	22,457	7,661
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(153,192)	996
მოგების გადასახადის ხარჯი	**250,000**	**193,153**

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება შედგება შემდეგი დროებითი სხვაობებისგან:

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	-	28,658
საიჯარო ვალდებულება	-	(6,201)
	-	**22,457**

13 მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სესხი სს საქართველოს ბანკისგან - გრძელვადიანი ნაწილი*	331,188	-
სესხი სს საქართველოს ბანკისგან - მიმდინარე ნაწილი*	186,470	-
საიჯარო ვალდებულება აქციონერისადმი (10.9%)**	-	41,341
მოკლევადიანი სესხი აქციონერისგან (18.75%)	-	236,163
	517,658	**277,504**

*2023 წლის 31 მაისს, სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფსა“ და სს „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა სესხის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების პერიოდიც განისაზღვრა სამი წლის ვადით, 2026 წლის 10 ივნისამდე. კრედიტის მოცულობა განსაზღვრულია 600,000 ლარით. სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13.8%-ს.

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულება სახელმწიფო ზედამხედველობისადმი	164,034	177,111
კრედიტორული დავალიანება	23,063	106,135
მიღებული ავანსები (საგარანტიო დეპოზიტები)	10,260	10,260
გადასახდელი ხელფასები	-	115,355
სხვა ვალდებულებები	19,924	23,430
	217,281	**432,291**

15 სადაზღვევო საქმიანობის შედეგი

ლარი	2023	2022
პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით შეფასებული ხელშეკრულებებიდან მიღებული სადაზღვევო ამონაგები	16,403,440	17,711,056
დამდგარი სადაზღვევო შემთხვევები და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯები	(10,362,813)	(13,023,390)
რისკის კორექტირება - სადაზღვევო კონტრაქტები	(28,253)	(2,265)
პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომის მიხედვით შეფასებული ხელშეკრულებების გადაზღვევის ხარჯი	(1,502,505)	(1,935,117)
გადამზღვევლებისგან ანაზღაურებადი ოდენობები	648,788	1,199,953
გადაზღვევის საკომისიო შემოსავალი	449,559	576,253
რისკის კორექტირება - გადაზღვევის კონტრაქტები	(19,209)	(47,117)
	5,589,007	**4,479,373**

16 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2023	2022
	2,079,692	2,205,767
თანამშრომელთა კომპენსაცია		
სავალდებულო დაზღვევის ცენტრის საწევრო	282,742	204,544
ზედამხედველობის სამსახურის გადასახადი	164,034	177,111
საკონსულტაციო ხარჯი	100,362	98,863
აუდიტის ხარჯი	22,214	25,097
ცვეთა და ამორტიზაცია	121,538	99,520
საკომუნიკაციო და კომუნალური	77,706	74,630
იჯარა	70,299	116,986
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	44,703	41,901
მარკეტინგის ხარჯი	6,918	47,783
მწვანე ბარათები (საერთაშორისო სადაზღვევო სერთიფ.)	-	146,854
სხვა	183,501	187,971
	3,153,709	**3,427,027**

17 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარებთან

ბასს 24 *დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების* თანახმად, მხარეები განიხილება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა, რომ გააკონტროლოს ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე, ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, დაკავშირებულ მხარეებში შედიან აქციონერები, კომპანიის მენეჯმენტის წევრები, აგრეთვე მათთან დაკავშირებული და მათ მიერ კონტროლირებადი სხვა პირები და საწარმოები.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ლარში	**2023**	**2022**
სადაზღვევო შემოსავალი	25,368	18,665
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(1,589,185)	(1,702,259)
	(1,563,817)	**(1,683,594)**

საანგარიშო წლის ბოლოს კომპანიას ჰქონდა შემდეგი ბალანსი დაკავშირებულ მხარეებთან:

ლარში	**2023 წლის 31 დეკემბერი**	**2022 წლის 31 დეკემბერი**
გაცემული სესხი	863,331	130,150
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	-	277,504
	863,331	**407,654**

მმართველი მენეჯმენტის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ლარში	**2023**	**2022**
საკვანძო მენეჯმენტის კომპენსაცია	432,842	435,029
	432,842	**435,029**

18 სამართლიანი ღირებულება

კომპანია ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზს, რომლებიც შემდგომ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულეა განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;

- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივის ან ვალდებულების; და
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ ატრივებს და ვალდებულებებს, რომელიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

თუ ატივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასება, მის მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

18.1 სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

19 სადაზღვევო ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა მას უქმნის სხვადასხვა რისკებს და ეს საქმიანობა მოიცავს რისკების გარკვეული ხარისხის ან რისკების კომბინაციის ანალიზს, შეფასებას, მიღებას და მართვას. რისკის აღება არის ფინანსური ბიზნესის ძირითადი ნაწილი, ხოლო საოპერაციო რისკები ბიზნესში ყოფნის გარდაუვალი შედეგია. ამრიგად, კომპანიის მიზანია მიაღწიოს შესაბამის ბალანსს რისკსა და ანაზღაურებას შორის და მინიმუმამდე დაიყვანოს პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება კომპანიის ფინანსურ მაჩვენებლებზე რისკის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეებია სადაზღვევო რისკი და ფინანსური რისკი, რომელიც მოიცავს ლიკვიდურობის რისკს, საბაზრო რისკს და საკრედიტო რისკს.

19.1 სადაზღვევო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის აღება, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური ან იურიდიული პირებისგან, რომლებიც ექვემდებარებიან რისკს. ასეთი რისკი შეიძლება დაუკავშირედეს ყველა სადაზღვევო სახეობას. კომპანია დგას გაურკვევლობის წინაშე სადაზღვევო კონტრაქტეიდან გამომდიანრე ზარალების ვადების და სიმძიმის მიხედვით. ძირითადი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც აღემატება მოსალოდნელს. სადაზღვევო შემთხვევევი თვისობრივად არის შემთხვევითი და ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს დადგენილი სტატისტიკურ საშუალებებით შეფასებული რიცხვისა და ზომისგან.

არა-სიცოცხლის სადაზღვევო პოლისებიდან გამომდიანრე რისკ, როგორც წესი, მოიცავს თორმეტთვიან პერიოდს. სტანდარტული სადაზღვევო კონტრაქტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები წარმოიშვება ცვლილებებიდან შესაბამის საკანონმდელო გარემოში, დაზღვეულის ქცევის ცვლილებებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ტერორისტული აქტებიდან. ჯანმრთელობის დაზღვევის კონტრაქტებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რისკეი წარმოიშვება ეპიდემიებიდან, ბუნებრივი კატაკლიზმებიდან და ჯანდაცვლის ხარჯების ზრდიდად.

სადაზღვევო საქმიანობიდან გამომდინარე კომპანია დგას საბაზრო რისკი წინაშე. კომპანია სადაზღვევო რისკს მართავს დადგენილი სტატისტიკური საშუალებების გამოყენებით. რისკების კონცენტრაციის გადაზღვევით, ანდერაიტინგის ლიმიტებით, ტრანზაქციების ავტორიზაციიის პროცედურებით, ფასწარმოქმნის პრინციპებით და მიმდიანრე საკითხების მონიტორნიგით.

19.2 საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის.

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფული და ფულის ეკვივალენტები	935,020	1,053,456
დეპოზიტები ბანკებში	7,770,487	7,810,288

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
	8,705,507	8,863,744

საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან.

19.3 სავალუტო რისკი

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. ვალუტის გაცვლითი კურსის ზემოქმედება წარმოქმნილია კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან, საბანკო ანაბრებიდან და საიჯარო ვალდებულებებიდან, რომლებიც ძირითადად არის დოლარში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ლარში
2023

	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	88,329	65,569
დეპოზიტები ბანკებში	2,876,494	-
	2,964,823	**65,569**

ლარში
2022

	დოლარი	ევრო
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	193,549	93,136
დეპოზიტები ბანკებში	2,711,195	-
	2,904,744	**93,136**

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% არის ხელმძღვანელობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი განაკვეთით. ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან და ევროსთან მიმართებაში 15%-ით, მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარში	დოლარი		ევრო	
	2023	2022	2023	2022
მოგება/ზარალი	444,723	435,712	9,835	13,970

19.4 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

ლარში 2023	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხი	186,470	331,188	517,658
	186,470	**331,188**	**517,658**

ლარში 2022	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხი და საიჯარო ვალდებულება	262,971	14,533	277,504
	262,971	**14,533**	**277,504**

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად. კომპანიის ფულადი რესურსები და საოპერაციო აქტივები აღემატება მიმდინარე ფულადი გასავლის მოთხოვნებს.

20 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ლარი	მიღებული სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
1 იანვარი 2022	**451,361**	**65,392**	**516,753**
ფულადი ნაკადები:			
შემოსვლა	-	-	-
გადახდილი ძირი	(213,837)	(24,368)	(238,205)
გადახდილი პროცენტი	(68,783)	(5,632)	(74,415)
არაფულადი:	-	-	-
დარიცხული პროცენტი	67,422	5,632	73,054
საკურსო სხვაობა	-	-	-
სხვა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	**236,163**	**41,024**	**277,187**
ფულადი ნაკადები:			
შემოსვლა	600,338	-	600,338
გადახდილი ძირი	(343,498)	(15,406)	(358,904)
გადახდილი პროცენტი	(38,639)	(2,094)	(40,733)
არაფულადი:			
დარიცხული პროცენტი	63,294	2,094	65,388
საკურსო სხვაობა	-	-	-
იჯარის გაუქმება		(25,618)	(25,618)
31 დეკემბერი 2023	**517,658**	**-**	**517,658**

21 კაპიტალის მართვა

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს;
- ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებით;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუუნარობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

კომპანიის სადაზღვევო და არასადაზღვევო საქმიანობისთვის განკუთვნილი კაპიტალის მართვის პოლიტიკა გულისხმობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობას.

მარეგულირებლის მოთხოვნა

საქართველოში სადაზღვევო სექტორი რეგულირდება „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ. „ზედამხედველობის სამსახური“ სადაზღვევო კომპანიებს უწესებს მინიმალური კაპიტალის მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნის მიზანია სადაზღვევო კომპანიებმა უზრუნველყონ საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა.

„ზედამხედველობის სამსახურის“ 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 4,200 ლარზე (მოცემულია ათასებში) ნაკლები. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №45-ის მიხედვით საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა, სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უნდა შეადგენდეს: ა) სიცოცხლის დაზღვევა: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – გარდა სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევისა: 4,800 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან, გ) დაზღვევა (არა სიცოცხლის) – სავალდებულო ფორმის პასუხისმგებლობის დაზღვევისა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევის და საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევის ჩათვლით: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან და დ) გადაზღვევა: 7,200 ლარს – 2021 წლის 31 დეკემბრიდან. თანხა განთავსებულ უნდა იქნას ნაღდი ფულის, ფულთან გათანაბრებული სხვა საშუალებების და ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრების სახით.

კომპანია ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საკუთარი კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.

კომპანია ახორციელებს კაპიტალის ოდენობის რეგულარულ მონიტორინგს, რათა გამორიცხოს მოთხოვნილი კაპიტალის დეფიციტი. იმისათვის, რომ კომპანიამ შეინარჩუნოს ან შეცვალოს კაპიტალის სტრუქტურა, შესაძლებელია მოხდეს ცვლილება ან დივიდენდის ოდენობაში ან მოხდეს საკუთარი კაპიტალის გაზრდა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, კომპანია სრულ შესაბამისობაში იყო კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან და წინა წელთან შედარებით არ ჰქონია ადგილი კაპიტალის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის, მიდგომების და პროცესების ცვლილებას. საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე გადახდისუნარიანობის მარჟის ოდენობა ან 4,200 ლარი (მოცემულია ათასებში) 2018 წლის 31 იანვრიდან პერიოდის განმავლობაში. 2021 წლის 31 დეკემბრიდან კომპანიის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 7,200 ლარზე ნაკლები. „საზედამხედველო კაპიტალი“ განისაზღვრება ევროკავშირის მიერ დადგენილი ფასს-ებით განსაზღვრული კაპიტალით, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, ინვესტიციებით შვილობილ ორგანიზაციებში ან მოკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხებით და ა.შ, „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ №16 დირექტივის შესაბამისად.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის და გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნებს

22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანაგარიშგებო პერიოდის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგებაში განმარტებით შენიშვნას.

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“

მართველობითი ანგარიშგება
2023 წლის საქმიანობის მიმოხილვა

ხვალინდელი დღე საიმედო ხელში!

მისია

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის მისიაა სადაზღვევო პროდუქტების და სადაზღვევო სერვისების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით და მომხმარებლის ერთგულებაზე აგებული, ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი კეთილსინდისიერი მომსახურება.

ძირითადი პრინციპები

- კომპანია უზრუნველყოფს სადაზღვევო მომსახურებას რაციონალურად და კარგად გათვლილი სადაზღვევო პროდუქტებით და მაღალრეიტინგული გადამზღვეველით,
- კომპანია იყენებს საერთაშორისოდ აღიარებულ მიდგომებსა და მეთოდებს ყოველდღიურ საქმინობაში;
- კომპანია ითვალისწინებს სადაზღვევო ბაზრის გამოწვევებს და მუშაობს მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამასთანავე ახალი სადაზღვევო პროდუქტების შექმნასა და რეალიზაციაზე;
- კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სადაზღვევო პროდუქტების და სადაზღვევო სერვისების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამოცანები

- კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელება სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან და განახლებასთან მიმართებაში;
- კომპანიის განვითარება ახალი სადაზღვევო ინსტრუმენტებისა და ბაზრის ათვისების კუთხით

კომპანიის შესახებ

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი დაარსდა 2017 წელს 100%-იანი ქართული ინვესტიციით. კომპანიის აქციონერები არიან:

არჩილ მორჩილაძე	51%
შპს „კლინიკა ნიუმედი“	49%
	100%

კომპანია მომხმარებელს სადღეიდოდ ქართულ ბაზარზე არსებულ თითქმის ყველა სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს. კომპანიის მთავარი მიზანია მომხმარებლისათვის მომსახურეობის შეთავაზება მთელი ქვეყნის მასშტაბით, სამედიცინო პროვაიდერების, ოჯახის ექიმების ფართო ქსელითა და პროვაიდერი ავტო სერვის ცენტრებით, რაც მაქსიმალურად მორგებულია მათ კომფორტზე; კომპანიას გააჩნია სამი სერვის ცენტრი თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. სულ კომპანიაში დასაქმებულია 200-მდე ადამიანი. კომპანიაში მუდმივად ხდება მომსახურების გაუმჯობესება. ასევე კომპანიას აქვს ონლაინ სერვისების გამართული სისტემა

რას ვსაქმიანობთ

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ძირითად პროდუქტებს:

- ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ავტომობილის დაზღვევა (კერძო და კორპორაციული);
- ავტომოტო ტრანსპორტის მფლობელთა დაზღვევა მესამე პირის წინაშე;
- მძღოლის, მგზავრების ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან;
- სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა: საერთაშორისო ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა; კონტეინერების დაზღვევა;

- სამოგზაურო დაზღვევა;
- აგროდაზღვევა;
- პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- ვალდებულებათა შესრულების (ფინანსური გარანტიები) დაზღვევა;
- სხვადასხვა

კორპორაციული მართვა

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება, ხოლო კომპანიის ოპერაციებზე ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან: თავმჯდომარე/წევრი: კობა ლიპარტელიანი, თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: გიორგი ვაშაკიძე, წევრი: ალექსანდრე გელენიძე. ყოველდღიურ მართვას კი ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორთა საბჭო გენერალური დირექტორის ხელმძღვანელობით. კორპორაციული მმართველობის განუყოფელი ნაწილი გახდა შიდა კონტროლი, რომლის მიზნებისათვის შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც პირდაპირ დაქვემდებრებაშია სამეთვალყურეო საბჭოსთან. ანგარიშგება მიმდინარეობს კვარტალურად, თუმცა საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე შესაძლებელია ეს ვადა ერთ თვემდეც შემცირდეს.

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის მოთხოვნებისა და კომპანიის გაფართოებიდან გამომდინარე ინერგება ე.წ. შიდა პროცედურების გაწერის პოლიტიკა; კომპანიაში ყოველი სამსახურისათვის ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ამ სამსახურის ფუნქცია მოვალეობებს, ანგარიშგების ფორმებსა და ვადებს.

კომპანიის მიერ შემუშავებული შიდა პროცედურები (დოკუმენტირებული)

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტში გაწერილია კომპანიის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშირისო სტანდარტების შესაბამისი აუცილებელი პროცედურა, რომელიც გადაცემული აქვს კომპანიის ყველა რგოლს სახემძღავანელოდ.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა

კომპანიაში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციის შესაბამისად შემუშავდა ინსტრუქცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ინსტრუქციის მოხოვნებიდან გამომდინარე, ყოველ სადაზღვევო ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც ეხება სადაო საკითხების გადაჭრას, პრეტენზიის წამოყენების ვადას და ყველა იმ ეტაპს, რომელსაც გაივლის კომპანია მომხმარებლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად/უარსაყოფად.

- სადაზღვევო პოლისის გაცემის პროცედურა

კომპანიაში შემუშავდა პოლისის გაცემის აღმწერი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაწერილია სადაზღვევო პოლისის გაცემის თანმიმდევრობა და პირის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია დოკუმენტაციის ნუსხა. დოკუმენტი დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ და ხდება მისი ამოქმედება დაზღვევის ნებისმიერი სახეობისათვის.

უკანონო შემოსავლების ლეგალიზიციის აღკვეთისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

კომპანიაში შექმილია სპეციალური დანაყოფი, რომელიც მუშაობს ზემოაღნიშნული კანონის შესაბამისი პროცედურის დანერგვაზე. ამ პროცედურის საბოლოო მიზანია სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფში დაამკვიდროს საქართველოს კანონისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური თუ იურიდიული პირის იდენტიფიცირებას, საეჭვო გარიგებების მონიტორინგსა და შესაბამის რეპორტინგს, მონაცემების სისტემატიზაციას შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში და ზოგადად ზემოთ მოყვანილი კანონის მოთხოვნების განუხრელ დაცვას.

მოსალოდნელი რისკები და გამოწვევები

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობა და ვალუტის კურსის ცვლილებებია. ბუნებრივია, რომ არასტაბილურ გარემოში მცირდება მომხმარებლის გადახდისუნარიანობა, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება სადაზღვევო ბაზარზე.

შედეგები

მიმდინარე წლის განმავლობაში კომპანია გავიდა შემდეგ ძირითად მაჩვენებლებზე;

ლარში	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სადაზღვევო ამონაგები	16,403,440	17,711,056
სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(10,410,275)	(13,072,772)
წმინდა ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან	(404,158)	(158,911)
სადაზღვევო საქმიანობის შედეგი	5,589,007	4,479,373

კომპანიამ არსებობის მეოთხე წლის თავზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, როგორც მოზიდული პრემიის სიდიდით, ისე კლიენტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით.

სამომავლო გეგმები

სს საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი მუდმივად ანახლებს მომსახურეობის სქემას, რაც დადებითად აისახება მომხმარებლის კმაყოფილებაზე; ინერგება ინოვაციური შეთავაზებები, პროდუქტების გაყიდვა ელექტრონულად, ელექტრონული ხელმოწერის პროცედურის დანერგვა, რამაც დადებითი გავლენა უნდა მოახდინოს მომსახურეობის ხარისხზე. კომპანიაში სპეციალური მიმართულებაა ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურეობის შექმნა, რაც თავის მხრივ ბაზრის წილი გაფართოებასა და კომპანიის რენტაბელობაზე დადებითად უნდა აისახოს.

გენერალური დირექტორი — არჩილ მორჩილაძე

ფინანსური დირექტორი — ვასილ გომურაშვილი